გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება განპირობებულია „ქონების ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო განახორციელებს მის კომპეტენციას მიკუთვნებული ქონების ლეგალიზების რეგისტრაციას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „ქონების ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ქონების ლეგალიზების რეგისტრაციის მომსახურების საფასურის დაწესება

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

აღნიშნული ცვლილებებით დგინდება ქონების ლეგალიზების რეგისტრაციისათვის შემდეგი საფასური: 14 სამუშაო დღის ვადაში - 100 ლარი, ხოლო თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის და ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ უძრავ ნივთებზე-14 სამუშაო დღის ვადაში - 500 ლარი.

ზემოთთქმული თანხა წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების საფასურს და ჩაირიცხება, სააგენტოს ბიუჯეტში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის თანახმად, დაინტერესებული პირი ქონების ლეგალიზების რეგისტრაციისთვის გადაიხდის მომსახურების საფასურს .

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტის თანახმად, „ქონების ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ქონების ლეგალიზების 14 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციის საფასური შეადგენს 100 ლარს, ხოლო თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, მცხეთის, დაბა ბაკურიანის, დაბა გუდაურის და სოფელ ანაკლიის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ უძრავ ნივთებზე – 500 ლარს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშვებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია/დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია, ანდრო ალავიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია, ანდრო ალავიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი